

სარგი ჯიჟია

ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი  
ნახევრის ქართლში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდში ინახება მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის თურქული დოკუმენტი, რომელთა დამუშავება და გამოქვეყნებას შეუძლია ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, თურქული ენის ისტორიის შესწავლას და, მეორე მხრივ, საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა და ორთავე ამ ქვეყნის ისტორიის საკითხების დამუშავებასა და გაშუქებას.

„1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე ხანა. ოსმალებმა ქართული მიწა-წყლის საბოლოოდ მიტაცება და ქვეყნის საფაშოებად ქცევა გადაწყვიტეს. ამ მიზნით მათ ქართლში ექვს ნაწილად დაკვეთეს და მოსახლეობას მძიმე საოსმალო გადასახადები გააწერეს“<sup>1</sup>. ეს მძიმე ხანა ოსმალთა ბატონობისა 12 წელიწადს გრძელდებოდა, ვიდრე 1735 წელს ყიზილბაშთა ბატონობამ არ შეცვალა. „ოსმალთა-ყიზილბაშობამ მოშალა აგრეთვე ქართული საქალაქო წესწყობილება. ქალაქებსა და სოფლებს განაგებდნენ ოსმალთა თუ ყიზილბაშთა მიერ დანიშნული მოხელეები, რომელნიც აუქმებდნენ ქართულ მართვა-გამგეობას, არსებულ კანონ-წყესებს“<sup>2</sup>.

„ოსმალთა“ ქართლში დროებით იყო და მას მალე მოეღო ბოლო, მაგრამ ოსმალები ამ მოკლე ხნის განმავლობაში ცდილობდნენ მთელ ქართლში მართვა-გამგეობის ოსმალური წესები დაემყარებინათ. საკმაოდ დიდი რაოდენობა თურქული დოკუმენტებისა საქართველოში ოსმალთა „მოდვანობის“ ფრიად მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავენ. ამჯერად ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ ოსმალთა სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებულ საბუთებს, რომელთა რიცხვი ხსენებულ სიძველეთსაცავში 20-ს აღწევს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ოსმალური სასამართლო წყობილების შესახებ ამგვარი საბუთების მიხედვით 1723 — 1735 წლების ქართლში ჩანს სულ 3 შარბათის სასამართლო ერთეული (საყადიო): თბილისის, გორისა და თრიალეთის. ამ ნაშრომში ჭერჭერობით წარმოდგენილია ექვსი საბუთი, რომელთაგან 5 თბილისის ყადისაა, 1 კი გორისა.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მე-სხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958, გვ. 338.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 339.

ასეთი ხასიათის დოკუმენტს ოსმალურად ეწოდება *حجت*, არაბ. ჰუჯჯათ → თურქ. ჰუჯჯეთ, მრავლ. *حجج* — ჰუჯჯაჯ → თ. ჰუჯჯეჯ და ნიშნავს 'საბუთი', 'მოწმობა', 'არგუმენტი' და სხვა<sup>3</sup>. თურქულში კი, კერძოდ, რაზორკ სპეციალური იურიდიული ტერმინი—*hüccet* ნიშნავს შარბათის სასამართლოს წიგნიდან—სიჯილლათიდან (*سجلات*) ამოწერილს და დაინტერესებულ პირზე გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ყაღდის მიერ გამოტანილი განაჩენია მხარეთა შორის არსებულ დავაზე და რომელიც ამტკიცებს, აკანონებს გარკვეულ პირთა უფლებას გარკვეულ ობიექტზე<sup>4</sup>. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით თითქმის ყველა მინაწერში, იხსენიება *حجت شرعي*—არაბ. *شرعي*, მდებარობ. *شرعية* (*šer'ī, šer'īye*)—'კანონიერი', '(მუსლიმთა) რელიგიური კანონით ნებადართული'; ჰუჯჯეთი შერბიჟე—'შარბათის სასამართლოს განაჩენი'; „დავთარის“ მეორე წიგნში, 67-ე გვერდზე მინაწერში, მაგალითად, ნათქვამია: „მიწა ბიძინასი, აწ სულეიმანის მფლობელობაში (მყოფი), სასამართლოს განაჩენის თანახმად იძლევა ბეჰესა და გამოსაღებს“<sup>5</sup>. „ჰუჯათ“ სიტყვის ასეთ კონტექსტებში მოხსენიებულია უკვე ვანსაზღვრავს მის შინაარსს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰუჯჯეთი შერბიჟეთი, ე. ი., სასამართლო განაჩენით კანონდება, რომ (გარკვეულ სოფელში) აქამდე ბიძინასადმი კუთვნილი მამული ამიერიდან სულეიმანის მფლობელობაში გადადის და მანვე უნდა გაიღოს კანონით გათვალისწინებული გამოსაღები.

სულთან სულეიმანის სახელთან დაკავშირებულ XVI საუკუნის კანონმდებშიც ჰუჯჯეთი სასამართლოს მიერ გაცემულ დოკუმენტად იგულისხმება: *قاضی حاکم* *ویرا کندن صکره*—'მას შემდეგ, რაც ყაღდები (მოსამართლეები) გადაწყვეტენ საქმეს და ჰუჯჯეთს გასცემენ...<sup>6</sup> Hammer-ის მიხედვითაც ეს დოკუმენტი „სასამართლოს (მიერ გაცემული) საბუთია“ (*Gerichtliche Urkunde*); საინტერესოა, სხვათა შორის, Hammer-ის სხვა დეტალებიც ჰუჯათზე: *Für ein Hudschet oder eine gerichtliche Urkunde werden 26 Aspern erlegt, wovon 20 dem Richter, 4 dem Naib und 2 dem Schreiber gehören...*<sup>7</sup> ე. ი., სასამართლო რომ ჰუჯათს გასცემდა, ჰუჯათის ამღებს უნდა გადაეხადა 26 ახჩა, რომლიდანაც 20 ეკუთვნოდა ყაღდის (მოსამართლეს), 4—ნაიბს (ყაღდის მოადგილეს) და ორი ახჩაც სასამართლოს მწერალს.

M. Pakalın-ის მიხედვით ასეთი ჰუჯჯეთები იწერებოდა თა'ლიკის ხელით და ყაღდის ხელმოწერა დოკუმენტის ქვემოთ კი არა, ტექსტის ზემოთ იყო<sup>8</sup>, როგორც ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი, ასეთ დოკუმენტებზე ყაღდის ხელმოწერა ტექსტის ზემოთა და ყაღდის ბეჭედიც აქა ხოლმე დასმული<sup>9</sup>.

ზემოხსენებულ „ოსმალობის“ ხანაში, ჩანს *hüccet*—არაბ. ჰუჯჯათ სიტყვა დამკვიდრებულა ქართულ ენაში, ოღონდ ფონეტიკურად გადმოქართულ-

<sup>3</sup> გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 47.

<sup>4</sup> შღრ. *ش. سامی—قاموس ترکی*, გვ. 541.

<sup>5</sup> „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, II, თბ., 1941, შღრ. „დავთარი“, I, გვ. 62.

<sup>6</sup> *ملی تبصر مجموعہ سی، عثمانلی قانوننامہ لری*, ტ. I, № 2.

<sup>7</sup> J. V. Hammer, *Des osmanischen Reiches staatverfassung und staatsverwaltung*.

I, გვ. 206.

<sup>8</sup> M. Pakalın, *Osmanlı tarih deyimleri ve terimleri sözlüğü*. სტამბოლ, 1950, ნაკვეთი IX, გვ. 865.

<sup>9</sup> იხ. აქვე თანდართული ფაქსიმილები.

ლებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ზოგ პუჯათ-ს ქართული მინაწერები აქვს და სწორედ ამ მინაწერებში ჩვენ ქართულად უჭათი გვაქვს. № 139 საბუთის უკანა მხარეზე, მაგალითად, შემდეგი ქართული მინაწერია: „ქ. ხითარანთ სახლების უჭათი ქალაქს ჩვენი ყჳსა“, № 144 საბუთის მეორე მხარეზე შემდეგი წერია: „ქ. სახლების უჭათი ჩემი ნასყიდისა“, № 152 საბუთის მეორე გვერდზე: „ანდარის (= [სოფ.] ანდრია) გლეხის ნასყიდობის ჰუქუქათია ყადისა“. ამ მინაწერებიდან ისიც ჩანს, რომ პუჯათი ყადის განაჩენის შემცველი დოკუმენტია და „გურჯისტანის ვილნაეთის დიდი დავთრის“ ქართულად თარგმნისას მისი განაჩენად გადმოღება სავსებით მართლდება. ამავე (№ 152) საბუთის მინაწერში შემდეგ ნათქვამია: „განაჩენი ტფილისის ყაზი მუსტაფასი მამულის დარჩომისათვის დიმიტრა ზურაბის შვილის ყაფლანის შვილსადმი თათრის მამადი აბდულა ქარიმ ოღლუსაგან მიღებითა რკ [=120] ყურუშისა“, ან კიდევ: „ენიბეგას ქარვასლს უჭათი რომ ყადმა გაუბჳო და დაანება. ახლა ჩვენ გარდუწყვიტეთ“<sup>10</sup> და სხვ. უჭათ სიტყვა ჩვენ გვხვდება სხვა ქართულ წყაროებშიც: „...როგორც ჩვენს განაჩენში სწერია, იმ საფუძველზე გავიყოფთ და თუ შემთხვევით იმაში რომელსამე საქმეზე უჭათი გამოჩნდება, მაშინ გემართებს მისთვის თქვენ მოგანდვათ, რათა თქვენ გაარჩიოთ“<sup>11</sup>; ან კიდევ: „ოდესაც ამხანაგთა ვექილთა და თირქაშივითა შორის სავაქრო ანგარიშისათვის სხვადასხვა დავა, უჭათი და საძიებელი მოხდებოდა...“<sup>12</sup>.

ჩვენ მიერ დამუშავებული, აქ წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს პუჯათ სიტყვის მნიშვნელობა. საბუთ № 151-ში იქ, სადაც ყადნი ამოწმებს საბუთს, ამბობს, რომ *أخرجت عن السجل المحفوظ* ეს ნიშნავს: „გადმოვიღე (გადმოვეწერე) სიჯილნათიდან (—ყადნის სასამართლოს დავთრიდან), სადაც დაცულია ეს დოკუმენტი“, ე. ი., პუჯათი არის ამონაწერი ყადნის სასამართლოს წიგნიდან, რომელშიც იწერებოდა ყადნის სასამართლოში, შემოსული და გარჩეული ყოველგვარი საქმე სათანადო დადგენილება—განჩინებებით და რომელსაც *سجل*—სიჯილათი ან *سجل شرعي*—სიჯილნათი შერიადე ერქვა<sup>13</sup>. დოკუმენტი, ამოწერილი ყადნის წიგნიდან, დამოწმებული ყადნის ხელმოწერითა და ბეჭდით და გაცემული დაინტერესებული პირისადმი—არის პუჯათი ან *hüccet-i şer'iye*. პუჯათ სიტყვა ქართულში (უჭათი) თურქულიდან შემოსული ჩანს. თავკიდური პთანხმოვანი ქართულში ჩვეულებრივად იკარგება (შდრ. არაბ. *حرام*→ქ. არამ-ი, არაბ. *حلال*→ქ.ალალ-ი და სხვ.) თურქული *hüccet-i* სხომვანი ქართულად უ-ს გვაძლევს, ხოლო თურქული დიალექტური *hüccät-i* *ä*→ა=უჭათი. მაგრამ ირკვევა, რომ ეს სიტყვა სპარსული გზითაც შემოსულა ქართულში. ამ მხრივ

<sup>10</sup> საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქულ დოკუმენტთა კოლექცია, № 186.

<sup>11</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გეოანფოდალური ხანა. წიგნი III. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ., 1955, გვ. 380, შდრ.: იგივე. დაბართ—I, II და III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები. შეადგინა მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1957, გვ. 38.

<sup>12</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართულ მეფეთა დროთა შემოდებულნი მსჯულნი. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი III, 1938, გვ. 80.

<sup>13</sup> L. Fekete, Einführung in die osmanisch-türkische Diplomatik der türkischen Botmässigkeit in Ungarn, ზუდაბეშტი, 1926, გვ. LXII.

საინტერესოა ერეკლე მეფის ბრძანება, რომელიც მიწერილი აქვს 1790 წლით დათარიღებულ გლიზბარ დავითაშვილის არხას: „ქ. სულ ყველანი ერთიანად უნდა მოიყვანო ესენი და ამათი ყმები და თავიანთი ოჯახთებიც (sic) მოიტანონ, და ღთვით ჩვენ გავასწორობთ. განაჩენები ჰქონდესთ, თუ ოქმი, ყველა ჩვენთან მოიტანონ და ჩვენ გავარჩევთ—[ერეკლე]“<sup>14</sup>. საბუთის გამოცემის დროს ოჯახთ სიტყვა უცნობი იყო და საბუთის გამომცემელი მას sic ნიშანს ურთავს (შეიძლება შეცდომაა, მაგრამ ასეა). ოჯახთ-ი კი იგივე huccal-ია, ოღონდ სპარსული-სათვის დამახასიათებელი ო-ნიანი ფორმით (შდრ. არაბ. حڪم ქუქმ → სპ. hukm → ქ. ოქმ-ი). „ოჯახთებიც მოიტანონ“ ე. ი., „საბუთებიც მოიტანონ“ და „ჩვენ გავასწორობთ“. მეორე წინადადებაში უკვე ოჯახთების ნაცულად ქართული განაჩენებიც ნახმარი. ამრიგად, არაბ. ჰუჯჯათ → თ. ჰუჯჯეთ → ქ. უჯათ-ი; არაბ. ჰუჯჯათ → სპ. ჰოჯჯათ<sup>15</sup> → ქ. ოჯახთ-ი. მნიშვნელობა: საერთოდ—‘საბუთი’, ‘არგუმენტი’, კერძოდ—‘მარბათის (ყაღის) სასამართლოდან გაცემული ‘ვანაჩენი’, ‘საბუთი’, რომელიც საბუთის პატრონის რამეზე უფლების ან გასაჩივრებული საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის მაჩვენებელი ოფიციალური ქაღალდია (რუსულ საარქივო მასალებში Г у д ж а т-ი გვაქვს, იხ. სტია, ფ. 47, ს. 1, გვ. 54r).

უჯახთების ყაღის სასამართლოს დავთარ-სიჯილწებებიდან ამოწერა და მისი დოკუმენტად გაფორმების ტექნიკური მხარე ასეთია: ამონაწერი ტექსტის ზემოთ, ან ზოგჯერ ტექსტის მარჯვენა მხარეზე პერპენდიკულარულად, როგორც ეს საბუთ № 151-ზეა, მაგრამ საერთოდ კი ტექსტის ზემოთ, მოტანილია ე. წ. عاريفي — დამოწმების ფორმულა, ან როგორც მას აკად. ლ. ფეკეტე თარგმნის — Beglaubigungsformel<sup>16</sup>. ამ ფორმულაში დამოწმება დოკუმენტისა მოცემულია არაბულ ენაზე, სადაც სიტყვები დაწერილია ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე. მაგალითისათვის მოვიყვანოთ საბუთი № 150-ის ფორმულა: الامر كما ذكر فيه حرره الفقير اليه عز شانه — ان سيد ابوبكر القاضي بمدينة تليس المحروسة عفى عنه ეს ნიშნავს: „საქმე ისეა, როგორც აქ არის მოთხრობილი. გადაწერა ეს მისმა (აღლაჰის) — იყოს მასზე დიდება და პატივი — მწირმა სეედიდმა აბუბეკრმა, კეთილადდაცული ქალაქ თბილისის ყაღიმ — შეუნდოს აღლაჰმა“. ძირითადად და აზრობრივად ეს ფორმულა ყველა საბუთზე ერთნაირია, მაგრამ ხშირად სხვადასხვა რედაქციით ვხვდებით. საბუთ №№ 144-ში, მაგალითად, დამოწმება ასეა გაფორმებული: الامر حسبما فيه نقه الفقير اليه سبحانه و تعالى — محمد امين القاضي بمدينة عفى عنه. აღმოწერა ეს გლახაკმა მის (აღლაჰის) — დიდებულისა და ამალღებულის — წინაშე კეთილად დაცული ქალაქ თბილისის ყაღიმ მექმედ ემინმა. შეუნდოს (აღლაჰმა)“ და სხვა.

ამ ფორმულის შემდეგ საბუთს ხელმოწერის გარდა დასმული აქვს ბეკედი იმ ყაღისა, რომელიც ამოწმებს დოკუმენტს.

შემდეგ მოსდევს ტექსტი. ტექსტის ბოლოს მთელი სტრიქონის სივრცეზე გამოყვანილია სიტყვები شهود الحال, რაც ნიშნავს „მოწმეები საქმისა“ და

<sup>14</sup> „საქართველოს სიძველენი“, II, ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1909, გვ. 499-500 (ხახასმა ჩენია).

<sup>15</sup> В. Б. Миллер. Персидско-русский словарь, М., 1953, стр. 173.

<sup>16</sup> L. Fekete. Einführung in die osmanisch-türkische Diplomatie der türkischen Botmässigkeit in Ungarn, ბუდაპეშტი, 1926, გვ. LXII.

შემდეგ მოტანილია ხელმოწერა მოწმეებისა, რომელთა რიცხვი შეიძლება 4, 5, 6, 7, და მეტიც იყოს. ოღონდ ხელმოწერათა ბოლოში ხვეულად თითქმის ყველგან, მაგრამ ძნელად გასარჩევი ხელით აწერია: غيرهم من الحضر (حاضرین و حاضرین) — რაც ნიშნავს 'და სხვა დამსწრეები' [რომლებიც ხელს არ აწერენ]<sup>17</sup>.

ჰუჯათების (ისევე როგორც სხვა თურქული დოკუმენტების) პალეოგრაფიულად და დიპლომატიურად შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უნგრელ მეცნიერს აკად. ლ. ფეკეტეს<sup>18</sup>. ჰაინტერესთა აგრეთვე პოლონელი ორიენტალისტის J. Grzegorzewski-ს გამოცემული თურქული დოკუმენტები და მათ შორის რამდენიმე ჰუჯათი (მაგ., გვ. 17, 18)<sup>19</sup>. შესანიშნავად აქვს გამოცემული ფაქსიმილებით XVII საუკუნის ჰუჯათები სარაევოელ მეცნიერს Hamid Hadžibegić-ს<sup>20</sup>. დიდ ყურადღებას იმსახურებს რუმიხელი ძეცხიერის მ. გუბოგლუს ვრცელი შრომა ოსმალური პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის შესახებ, სადაც ძლიერ ჰაინტერესო და მრავალ დოკუმენტთა შორის მოიპოვება ჰუჯათებიც (გვ. 187, 138, 140, 201 და სხვ.)<sup>21</sup>. ოსმალური დიპლომატიკისათვის ძლიერ ჰაინტერესთა აგრეთვე აკად. ა. ზაიონჩკოვსკის და პ. ოფ. ი. რეისმანის სახელმძღვანელო<sup>22</sup> და სხვ.

აქ წარმოდგენილი დოკუმენტები, ისევე როგორც საერთოდ ჰუჯათები, შესრულებულია თა'ლღ-ის (خط تليغ) ხელით.

ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება თურქული ჰუჯათების მეორე წყება, რომელშიც მოცემული იქნება ახსნა-განმარტებანი ჰუჯათების ტექსტის ენობრივი თავისებურებებისა და პალეოგრაფია-დიპლომატიკის შესახებ.

Tur. d. 150. ფორმატი—42,5×15,5 cm; ტექსტი—23×10 cm; ქალაღი: თორი, კირ. ნიშნანი.

Tur. d. 151. ფორმატი—43,5×15,5 cm; ტექსტი—25,5×10; ქალაღი: ივიე.

ორივე საბუთი ერთსა და იმავე საქმეს ეხება, სახელდობრ: ვახტანგ VI-ის ნაზირის ოსებ ზურაბის ძის დების მიერ აღძრულ საქმეს იმის შესახებ, რომ მათ ნება დაერთოთ შეისყიდონ ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში გადასახლებული მათი ძმის ოსების ქონება. ირკვევა, რომ ოსმალთა მთავრობას თავისი ხაზინის სასარგებლოდ მიჰქონდა ვახტანგ მეფესთან რუსეთში გა-

<sup>17</sup> იხ. საბუთი № 151 და სხვა.

<sup>18</sup> L. Fekete, Einführung in die osmanisch-türkische Diplomatik der türkischen Botmässigkeit in Ungarn. ბუდაპეტი, 1926.

<sup>19</sup> Z sidzylłow rumelijskich epoki wyprawy wiedenskiej: Akta tureckie (tekst turecki i polski). Zebrał i opracował Jan Grzegorzewski, ლუბი, 1912.

<sup>20</sup> Turski dokumenti Grbaljske župe iz XVII stoljeca. Прилози за ориенталу филологију и историју југословенских народа под турском владавном. I. Сарајево, 1950-გვ. 23-50.

<sup>21</sup> M. Guboglu, Paleografia si diplomatica turco-osmana. Studiu si albumi, ბუჯარესტი, 1952.

<sup>22</sup> A. Zajaczkowski, J. Reichman, Zarys dyplomatyki osman'sko-tureckiej. ვარშაეა, 1955. ეს ნაშრომი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, როდესაც ჩვენ მივიღეთ მეტად საყურადღებო ნაშრომი K. Jahn-ისა; Türkische Freilassungserklärungen des 18. Jahrhunderts (1702-1776) (ნეაპოლი, 1963), რომელშიც გამოცემულია აგრეთვე რამდენიმე ჰუჯათი, ხოლო იგი (ჩვენი სტატია) უკვე იბეჭდებოდა, როცა ჩვენ ავტორისაგან მივიღეთ აგრეთვე შესანიშნავი წიგნი: Б. Недков, Османотурска дипломатика и палеография. I. София, 1966. ამ წიგნში ჰუჯათებზე ლაპარაკია 121, 125 და განსაკუთრებით 159 გვერდებზე.

დასახლებულ პირთა ქონება. საბუთების შინაარსი ერთი და იგივეა, ოღონდ იგი შარი'ანთის სასამართლოს დავთრიდან, რომელსაც სიჯილნათი ერქვა, ამოწერილია სხვადასხვა პირის მიერ. ამიტომ საბუთების ტექსტებში შეინიშნება მცირეოდენი სხვაობა, რომელიც საბუთის გადმომწერის უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. № 150 საბუთი ამოწერილია თბილისის ყაღდის ალ-სეჰიდ აბუბეკრის მიერ. ხოლო მეორე — № 151 საბუთი კი ამოწერილია და დამოწმებული ავრეთვე ყაღდის ჰასანის მიერ. ეს უყანასენელი საბუთის დამოწმებისას ამბობს, რომ გადმოწერე ეს საბუთი იმ სიჯილნათიდან, რომელშიც ეს საქმე ფიქსირებული იყო ალ-სეჰიდ აბუბეკრის მიერო. მაშასადამე, საქმე განუხილავს აბუბეკრ ყაღდის და მასვე გაუცია პირველი (№ 150) ჰუჯჯათი, ხოლო შემდეგში შეიძლება ოსებ ნაზირის მეორე, მესამე, ან მეოთხე დასკიდევ დასპირდა თავისთვის ეს საბუთი, რაც ამოწერილ და გაცემულ იქნა უკვე ამ დროის სხვა ყაღდის ჰასანის მიერ. ჩვენ აქ ვბეჭდავთ მხოლოდ მეორე საბუთს (№ 151), რადგანაც ამის ტექსტი შედარებით უკეთაა შენახული. მართალია, ალაგ-ალაგ ამ საბუთის ტექსტიც შერყვნილია რამდენადმე. მაგალითად მე-10, მე-11, მე-16 და მე-20 სტრიქონების შუა ადგილები, მაგრამ ეს ნაკლი გასწორებულია პირველი (№ 150) საბუთის მიხედვით. ორთავე საბუთზე დამოწმების ფორმულა სხვადასხვანაირადაა მოცემული. ამიტომ ჩვენ აქ № 150 საბუთიდან მხოლოდ წარმოვადგენთ დამოწმების ფორმულას:

საბუთი № 150-ის დამოწმების ფორმულა (عبارة تصديق) ასეთია:

الأمر كما ذكر فيه حرره الفقير إليه عز شأنه  
السيد أبو بكر القاضي بمدينة تفليس المحروسه  
عفى عنه

الهي از تو خواهد فيض سرمد... [ბეჭედზე:]  
أبو بكر عمر ال احمد

(თარგმანი:) „საქმე ისეა, როგორც ამაშია მოთხრობილი. გადმოწერა გლახაკმა მის (აღლნაჰის — განდილებულისა და შექებულის — წინაშე ალ-სეჰიდ აბუბეკრმა, კეთილად დაცული თბილისის ყაღდის. შეუნდოს მას“. ყაღდის ბეჭედზე: „ღმერთო ჩემო, შენგან ითხოვს მარადიულ მადლს აბუბეკრი'ომერი აჰმედის ჩამომავლობისა (?)“.

Tur. d. 151. საბუთი № 151-ის დამოწმების ფორმულა (ყაღდის მიერ):

(1) أخرجت عن السجل المحفوظ هذه الوثيقة  
(2) محرر من السيد أبو بكر أفندي حرره العبد الفقير  
(3) حسن القاضي  
(4) بمدينة تفليس المحروسه  
(5) عفى عنه

მინაწერს ქვემოთ და მარჯვნივ დასმული აქვს ბეჭედი (ყაღდისა), რომლის ორნამენტებიცაა

ზედაპირზე გამოყვანილია წარწერა: حسن

(1) سبب تحرير كتاب شرعى<sup>23</sup> بوذر كه (2) مدينة تفليس دفتردارى فيخر الاماجد  
والاكارم عزتو لمعى خليل أفندي مجلس شرع خطير (3) لازم التوقيده مدينة

<sup>23</sup> № 150 საბუთში სა-სერევი ნაცვლად წერია: نصاب.





عليك اشقر      بابا ولد فرهموز      بغه ولد      زهراپ ولد      ديكر زهراپ  
ولد خواجه زده(?)      كسبر      راتى<sup>33</sup>      ولد كوركين

اره كيل      فودروي(?)<sup>34</sup> ولد فرهموز      وغيرهم من الحضار

საბუთის მეორე გვერდზე ჭართულად აწერია: „ესა ძაველი ყაადისა“.

მეორე, № 151, ჰუჯათი გადმოწერილია უფრო გვიან უკვე სხვა მოსამართლის ჰასანის მიერ, რომელიც პირველი, № 150, ჰუჯათის გადამწერს ყაღღი აბუბექრს ასხენებს. დამოწმების ფორმულაც ჩვეულებრივად რომ ჰუჯათის ტექსტის ზემოთაა, ამ შემთხვევაში ტექსტის მარჯვენა აშიაზეა მიწერილი. ამ საბუთის ტექსტი შემდეგია:

№ 151. საბუთის მარჯვენა აშიაზე ტექსტს მიწერილი აქვს შემდეგი დამოწმების ფორმულა: „გადმოვწერე ეს საბუთი (სასამართლოში) დაცული დაეთრიდან [=სიჩილლათ'იდან], რომელიც შესრულებულია ალ-სეჰიდ აბუბექრ ეფენდის მიერ, გადმოწერა გლახაკმა მონამ კეთილად დაცული ქალაქ თბილისის ყაღღი ჰასანმა — შეუნდოს (აღლავმა)“. აქვეა ბეჭედი წარწერით: „ჰასანი“.

„შარბათზე დამყარებული ამ საბუთის გადმოწერის მიზეზი ის არის, რომ ქალაქ თბილისის დეფთერდარმა<sup>35</sup>, კეთილშობილთა და წარჩინებულთა სიამაყემ, პატივმოსილმა და გასხივოსნებულმა ხალხლ ეფენდიმ ლირსპატივსაცემ და სახელოვან შარბათის სასამართლოს (ქვემოხსენებულ მანდილოსანთა) თანდასწრებით მოუთხრო და ვრცლად მოახსენა შემდეგი:

ზემოაღნიშნული ქალაქის მცხოვრებლები, ამანწინეთ ვახტანგთან<sup>36</sup> ერთად რუსეთს ლტოლვილი ნაზირის<sup>37</sup> ზიმში<sup>38</sup> ოსებ<sup>39</sup> ზურაბის ძის დები, ამ

<sup>33</sup> თუმცა ამ სახელის راتى-დ (რათი—რათი) წაითხეა აქ რამდენიმედ საეჭვოა, მაგრამ № 150 საბუთში ეს უფრო ცხადი ხდება: راسوس ნაცულად შეცდომით 9 უნდა იყოს დაწერილი.

<sup>34</sup> ამ სახელის ასეთი ამოკითხვა საეჭვოა, მაგრამ № 150-ში მოცემული მოხაზულობა უფრო რთული ამოსაკითხავია— رورور (?).

<sup>35</sup> დეფთერდარი—(არ.სპ.) دفتردار —ოსმალთა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეების ხელმძღვანელი (შემოსავალ-გასავლის დაეთრის მწარმოებელი), თანამედროვე ფინანსთა მინისტრი; ამ ჩვენი ტექსტის მიხედვით: ქალაქის საფინანსო საქმეთა გამგე.

<sup>36</sup> ლაპარაკია ქართლის მეფე ვაჩტანგ VI-ზე. რომელიც შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო 1724 წლის 15.VII-ს დიდი ამალით გაემგზავრა რუსეთს.

<sup>37</sup> ნაზირ—ناظر (არაბ.) გარკვეული დარგის სახელმწიფო საქმეთა ზედამხედველი (ძველ თურქეთში—მინისტრი, ვეზირი).

<sup>38</sup> ზიმში არაბ. ذمى —მუსლიმთა ქვეყნების არამამალიანი ქვეშევრდომი (ქრისტიანი, ებრაელი და სხვა).

<sup>39</sup> ნაზირი ოსებ ზურაბის ძე—ვახტანგ მეფის რუსეთს ჩასვლისას შედგენილ მისი ამალიც წარჩინებულ წევრთა სიაში მეცამეტედ მოხსენებულია Назыр и Боярин Осип Титов (ს. ყუბან ეი შვილი, ატლახან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში. „ლიტერატურული ძიებანი“, XI, გვ. 80), რომელიც უთუოდ ამ ჰუჯათში მოხსენებულ ნაზირი ოსებ ზურაბის ძეა. ამ ოსებ (ოსეფ) ნაზირს ტფილისში დარჩენია თბილი და: გოზალი, ხორეშანი, მარეზი და მარიამი. როგორც საქმიდან ჩანს, ამ დებმა მოითხოვეს სასამართლოს წესით, რათა მათი ძმის, რუსეთს გაქცეული ოსეფის

საპუიის წარმომდგენი ქრისტიანები<sup>40</sup> — გოზალი, ხორეშანი. მარესი და მარიაში ზურაბის ასულები თანაწორად მოზიარებები არიან ზემოხსენებულ ლტოლვილ ოსებთან ერთად (შემდეგი ქონებისა): ამავე ქალაქში მდებარე და მცხოვრებლებისა და ქეზობლებისათვის ცნობილ საზღვრებში თექვსმეტი თვალი დუქანი, რომლის 5 ნაწილიდან ერთი ნაწილი (ოსებისა), და კიდევ ზიმმის, სახელად დავითის სახლის მიჯნაზე ერთი მხრით, მეორე მხრით ზიმმის, სახელად არუთინის სახლის მიჯნაზე და ორი მხრით სათემო გზით შემოაზღვრული ბევრი სახლის შემცველი ნაგებობანი, რომლის ხუთი წილიდან ერთი აგრეთვე (ოსებისა); ასევე ერთი მხრიდან ზიმმის, სახელად ლომონია<sup>41</sup> სახლითა და სამი მხრით სათემო გზით შემოსაზღვრული რამდენიმე სახლს შემცველი მცირე ფუნდუკის ხუთ წილში ერთი წილი ისევე (ოსებისა). ვინაიდან გამოვიდა უზენაესი ფირმანი გაყიდულ იქნას ხაზინის მიერ აღნიშნული ოსების წილი ქონება და ვინაიდან ამ ქონებას შესყიდვის მსურველი სხვა ვინმე არ გამოჩენილა და იმის საფუძველზე, რომ მის შექენას ზემოხსენებული დები მოითხოვენ, ამიტომ აღნიშნული დუქნების, სახლებისა და ფუნდუკის ოსების კუთვნილი მეხუთე წილი მხარეთა აუცილებლობისა და თანხმობის ვითარებაში და ყოველგვარი ზღუდვითი პირობების გარეშე და შარბათის წესით შეურყევლად და მტკიცედ სამას ყურუშად მიყიდე და ჩაებაარე ზემოხსენებულ ქრისტიან ქალებს — გოზალს, ხორეშანს, მარესსა და მარიაშს. მას შემდეგ რაც თითოეულმა ამ აღნიშნულმა დამ მიიღო და ჩაიბარა ქონება, მისი ღირებულების თანხა აღნიშნული სამასი ყურუში ხაზინის სასარგებლოდ ავიღე. ამიერიდან ზემოაღნიშნული დუქნების, ფუნდუკისა და სახლების ხუთი წილიდან ერთი წილი — აღნიშნული ოსების წილი—ზემოხსენებული დების მიერ შესყიდული ქონებაა. მათ უფლებათა. დაეუფლონ ისე, როგორც მათ სურთ და ნებათ. ვინაიდან ზემოხსენებულმა (დებმა) თბილისის აღნიშნული სამართლიანი დეფთარდარ ეფენდის (ეს) ნათელი სიტყვები მოისმინეს და (ასაამართლოს) წინამე თანხმობა განაცხადეს, მათივე თხოვნით საქმე ამოწერილ იქნა ისე, როგორც

წილი დებისა და მისი საერთო ქონებისა, რომელსაც ოსმალია მთავრობის კონფისკაცია მოკლდა, მიეყიდათ აღნიშნული დებისათვის. შემდეგ ასტრახანიდან მოსკოვს გამგზავრებულთა სიაში იხსენიება ორი კაცი: Его светлости (ვახტანგ შუჟისა) Назаря Осина лодей ено—2 (იქვე, 88). მაშასადამე, ვახტანგის ნაზირის ეს ორი კაცი მიემგზავრება მოსკოვს. მესამეჯერ ოსე ზურაბის ძე იხსენიება მესამე სიაში, რომელშიც ჩამოთვლილია ვახტანგის ამალის ასტრახანში დარჩენილი წევრები: Его светлости Назаря Иосифа лодей—2 (იქვე, 94). ამრიგად, ოსე ნაზირის ორი კაცი ასტრახანს დარჩენილა. გარდა ამისა ოსე ნაზირი იხსენიება კიდევ „ვახტანგთანში“: „ნაზირი დიდათ ერთგულთ, ოსე უა სახელდებული“ (ს. ყუბანეშვილი, ვახტანგის, „ლიტერატურული ძეგანი“, IV, 193); შტრ. აგრეთვე: აქ. მე, ნაზირი ოსეა, ამისი მოწამე ეარ“, 1723 წ. (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I. შეადგინეს ნ. ბერძენი შვილმა და მ. ბერძენი-შვილმა, თბ., 1962, 127—128); 1721 წლის ნასყიდობის წიგნში, „მოწამე ნაზირი ოსეა“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენი შვილის რედაქციით. თბ., 1940, გვ. 194).

<sup>40</sup> დედანში არაბ. نصراني ნასრანიჲე 'ქრისტიანი ქალი', კრისტეს სამშობლოს სახელწოდებისაგან ناصري (ქ. ნაზარეთი); ზიმმი რომ საერთოდ არაამპალიანი (ე. ი., ქრისტიანი, ებრაელი და სხვა) ქვეშეკრძობება, نصراني, მდლრ. نصراني 'ქრისტიანს' აღნიშნავს.

<sup>41</sup> შეიძლება აქ სო-ლომონ-ი იყო და გადამწერს შეცდომით სო მარცვალ გამოჩნა.





№ 152 [დამოწმების ფორმულა]: „საქმე შესაზამისია იმისა, რაც აქ არის მოხსენებული. გადაწერა გლახაჲმა მის (აღლწჳის)—მასზე იყოს დღეობა და პატივი—წინაშე კეთილად დაცული ქალაქ თბილისის ყანდმ მესტაფაჲს—შეუნდოს [აღლაჲმა]“ [ბეკეღზე:] „მონა მისი (აღლწჳისა).... მესტაფა“

„ამ მართალი საბუთის გადმოწერის მიზეზი ის არის, რომ კეთილად დაცული თბილისის მცხოვრები ისლამში მოქცეული ვინმე 'აბდ-ულ-ლამ' 'აბდ-ულ-ქერემ'ის ძე გამოცხადდა სახელოვან და ღირსპატივსაცემ შარბათის სასამართლოში და პირისპირ ამ საბუთის წარმომდგენი ზიმმის ყაფლანიშვილი დემეტრე ზურაბის ძის<sup>46</sup> წინაშე გამოვიდა და შემდეგი განაცხადა: ზემოაღნიშნული კეთილად დაცული ქალაქ [თბილისის] სანახებში ბარათალუს<sup>47</sup> ნაჰიფესა<sup>48</sup> და ხრამის ხეობაში მდებარე ანდრია<sup>49</sup> წოდებული სოფლის შიგნით ცნობილი მიჯნებისა და მოცულობის ჩემი სახლი და ერთი ნაკვეთი ცნობილი მიჯნებისა და მოცულობის ვენახი და ერთი ნაკვეთი ცნობილი მიჯნებისა და მოცულობის ბაღი, და ხსენებულ სოფელში გამდინარე წყალსა და აგრეთვე ამა [სოფლის] განაპირას ჩამავალი ქციად წოდებული მდინარის ნაპირზე თევზის საჭერი ფაცერი და ცნობილი მიჯნებისა და მოცულობის ჩემი სამოცი დღეურა საყანე მიწა, რომელიც აქ აღნიშნულ ნასყიდობამდე ჩემი ქონება და მამული იყო, მხარეთა სრული შეთანხმებათა და [ყოველგვარი] ხელშეწყობილი პირობების გარეშე საბოლოოდ მიეყიდე ასოც ყურუშად, ჩევაბარე და გაჯაკეცი. მან კიდევ გაყიდვის, ჩაბარებისა და დაუფლების შემდეგ მისი ღირებულება, ზემოაღნიშნული თანხა — ასოცი ყურუში მთლიანად გადაიხადა და ჩამაბარა. ამიერიდან ზემოხსენებულ სოფელში მდებარე სახლი, ვენახი, ბაღი, მდინარე წყალი, ფაცერი და მიწა აღნიშნული ზიმმი დემეტრე ყაფლანიშვილის ნასყიდი მამულია და მის უფლებაშია. ამ მამულს დაეუფლოს იგი. როგორც მას უნდა და როგორც მას ნებავს. შემდეგ, აღნიშნული განმცხადებლის ისლამში მოქცეული აბდ-ულ-ლამის მიერ სათანადო წესით გაკეთებული სიტყვიერი განცხადება. განმცხადებელმა და აღნიშნულმა ზიმმიმ საბელად დემეტრემ ერთიმეორესთან პირზე წადგომით დაადასტურეს და სიტყვიერად დაამოწმეს. ამიტომ თხოვნის თანახმად მომზადარი ფაქტი ამო-

<sup>46</sup> საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ ფირმანში, რომელიც 1726 წლითა დათარიღებულ იხსენიება ყანდ მესტაფა, ოღონდ ის მაშინ გორის ყანდ ყოფილა *قاضي مولانا مصطفى*

<sup>47</sup> ყაფლანიშვილი დემეტრე ზურაბის ძე—1735 წლით დათარიღებულ ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულ ყაფლანიშვილი ზურაბის შვილი დემეტრე უნდა იყოს. თარღობი—1728 წ. (ჩვენი საბუთისა) და 1735 წ.—ამას ხელს არ უშლის (საქ. სიტყვლენი, II, გვ. 378). იგივე უნდა იყოს დემეტრე ყაფლანიშვილი 1735 წ. საბუთისა (იქვე 380). ეს პირი უფრო გარკვევით ჩანს 1738 წლის ქართულ ნასყიდობის წიგნში: „ყაფლანიშვილი, ზურაბის შვილი ემბა-კალა[სი]მაში, უზააში [=იუზუბაში] დემეტრე“ (საქ. სიტყ. II, 392).

<sup>48</sup> საბარათიანოს შესახებ თურქული დოკუმენტები საქმოდ ბევრა თაღისის სიტყვლეთაგანში და საბარათიანო ყველგან *براثا*—ბარათალუდ იხსენიება (-ლუ თურქული სიტყვისა). შდრ. ქართული საკუთარი სახელი ბარათა; იხ. იონა შენარავი. კარეჯანა ნ. ბარათიშვილისა, წიგნში: ნ. ბარათიშვილი ს. ფირცხალაის რედაქციით. თბ., 1922 წ. გვ. V. აგრეთვე ბარათალი (მ. ხუბუა, საქ. მეზემეის სპარსული ფირმანები და კოქიკი, გვ. 223).

<sup>49</sup> ნაჰიფე—*حاجي*—ადმინისტრაციულ დაყოფაში რაიონის ტიპის ერთეული (სს. უკოში).  
<sup>49</sup> ვახუშტის ქციის ხეობაში დასახლებული აქეს სოფ. ანდრია (დღევანდელი სამეფოსა სა-ქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1911. გვ. 193).

წერილ იქნა ათას ას ორმოცდაერთი წლის განმხილველებული რეჯების თვის მეშვიდესა დღესა [= 1729 წლის 8.11-ს].

საქმის მოწმეები: ისმა'ილ ალა— $\text{اوجا}$ -ის ციხის<sup>50</sup> მკველი, რეჯებ ფაშა<sup>51</sup>, 'ო'მან ეფენდი—ჯამი'ის იმამი, აბუბეჟრ ბეშე<sup>52</sup>, მუსტაფა 'აბდ-ულ-ლამის ძე, [მ]დინანი ბირთველ ზაქარას ძე, სანჯაყ ბიდი(?) ქაიხოსრო, ბარათაშვილი როსტომ, ავთანდილ...(?)ძე და სხვანი.

საბუთი № 152, კაცმა რომ თქვას, ნასყიდობის წიგნია. გარკვეული შედგენილობის მამულს ჰყიდის 'აბდ-ულ-ლამ' 'აბდ-ულ-ქერნის ძე და ყიდულს ამ მამულს დემეტრე ზურაბის ძე ყაფლანიშვილი, რომელიც, როგორც ზემოთ აღანიშნა, არაერთხელ იხსენიება ექ. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველენში“ გამოცემულ საბუთებში. ეს ნასყიდობის წიგნი გატარებულია ოსმალთა შარბათის სასამართლოში ყაღინსთან, ფიქსირებულია სასამართლოს დავთარში, რომელსაც სიჯილნათი ეწოდებოდა. ოსმალური სასამართლო წარმოების დანერგვისას ჩვენებურ ნასყიდობის წიგნი იურიდიული ძალა ექნებოდა, ალბათ, როცა ის დადასტურდებოდა ყაღინს მიერ სათანადო წესებით და ასეთი ჰუჯათი გაიცემოდა მამულის მყიდველზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „საქართველოს სიძველენის“ II ტომში (გვ. 344) მოთავსებული „ნასყიდობის წიგნი დემეტრე ყაფლანიშვილისა“, რომელიც შინაარსობრივად, გასაყიდი ცალკეული ობიექტების, უძრავი ქონების მდებარეობის ადგილის, მოქმედ პირთა ვინაობისა და თარიღების მიხედვით ბევრ რამეში ემთხვევა აქ წარმოდგენილ საბუთ № 152-ს. შესაძარბულად ჩვენ აქ მოგვყავს ეს საბუთი ისე, როგორც ის გამოცემული აქვს აკად. ექ. თაყაიშვილს.

1728, იანვარი ...ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი თქვენ ყაფლანიშვილს მე, ბარათაშვილმა. თაყაიშვილმა დემეტრემ, ზურაბიშვილს დემეტრეს, შეიღსა შენსა ყაფლანს, ზურაბს, ზაალს, პაპუას, ასრე რომე მოგყიდე მე თაყაიშვილმა დემეტრემ ჩემი სამკვიდრო გლეხი ანდრიას ქიტესაშვილი, ამისი ბიძაშვილი აბრამა თავისის მამულით, შუაველით, გასაველით, მათით, ბართთ, საცნავით, უცნავით, წყლისპირით, სამოცი დღის მიწით, ვენაჯათ, ბალით, ერთი მთელი საკომლო მოგ-

<sup>50</sup> შეიძლება ეს იყოს შულავერის ციხე.

<sup>51</sup> رجب اسان — რეჯებ ფაშა, რომელიც აქ სასამართლოს მოწმედაა დასახელებული, სიჯილ-ი 'ო'მანში ჰქირათ 1119-1138 (ჩვენით = 1707—1726) წლების მოღვაწედ აღრიცხული ფაშა უნდა იყოს. წარმოშობით არაუღი (=ალბანელი), რეჯებ ფაშა მრავალ მაღალ თანამდებობაზე ყოფილა. სხვადასხვა დროს მრავალი ერლადეთის (დარბუჭირის, ვანის, ტრაპიზონის, იერუსალიმის, დამასკოს, ალემოს და სხვა) გამგებელი ყოფილა. 1136—1137 (=1723—1725) წლებში თბილისისა და ტრაპიზონის ვაწის თანამდებობაზე ჩანს. სიჯილ'ის მიხედვით ამ დოკუმენტის დაწერილი დროს, 1729 წელს, რეჯებ ფაშა უკვე გარდაცვლილია (გარდაცვალების თარიღად სიჯილ'ში ნახევენება 1138 წ. (=1726). მაჯრამ ეს უნდა იყოს სიჯილ'ის ავტორის შეცდომა (იხ. سجل عثمانی, II გვ. 273).

<sup>52</sup> M. Z. Pakalin-ის მიხედვით  $\text{باش}$  || beşe ეძახდნენ თურქ მომთაბარე ტომებში ტომის დიდ შეილს, უფროს შეილს. აქედან ოსმალთა სახელმწიფოს დაარსებისას პირველ უფლისწულს ფაშასა და მისი მისცემის [მაშასადამე, ფაშა—beşe? ს. ქ.]. შემდეგ ვრცელდება ფაშა სიტყვა (Osmanlı Farih deyimleri ve Terimleri Sözlüğü, I, 211). I. Grzegorzewski-თ ფაშა პოლონეთში basza'-დ იწერებოდა (Z sidyllatow...251).

ყიდეთ ყოვლის უმიზეზოს და უცილებელის საქმით. მოგეცეს და გიბედნიეროს ღმერთი. ავიღე სრული ფასი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. შეჯერადი, ჩემი შენზე აღარა დამრჩობილა რა. არა კაცი მოცილე და მოლაპარაკე არავინ არის, ჩემი სამკვიდრო ყმა და მამული(ა). ვინც მოლაპარაკე და მოდავე იყოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე: პატარა ბატონი, მანუჩარ, მდივანი ბირთველი [ბექვედზე]: „მონა ღმერთისა მდივანი ბირთველი“, მდივანი ავთანდილა, გიორგი ლულუკაშვილი, ნამანგულავისწვილ როსტომ, გერმანოზისწვილი დათუნა, საამისწვილი ედიშერ და სულ ხარისხ ხეობა ამის მოწამე. დაიწერა ესე წიგნი იანვარს ქაქსა უიე. მე პავლე ს დამიწერია და მოწამეცა ვარ...<sup>53</sup>.

